აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 13

23 სექტემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, თამარ ხოზრევანიძე, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, ავთანდილ ჩახვაძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ირაკლი გვარამია და ანზორ ბაღათურია.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი.

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

2. განკარგულება

ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

3. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. ქ. ჯიქია)

4. დადგენილება
საუბო საარჩევნო კომისიის წევრების დამხმარე სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ;

(მომხ. თ. შარმანაშვილი)

5. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. ქ. ჯიქია)

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: მომხსენებელმა თამაზ შარმანაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სახეს. მომხსენებელმა კომისიას წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მოწმობა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის მოწმობა და განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის მოწმობა (ფორმა 6-07.37.01);
ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის მოწმობა (ფორმა 6-07.38.01).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: მომხსენებელმა თამაზ შარმანაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შემდეგი ფორმები: საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) სადემონსტრაციო ოქმის ფორმა, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) სადემონსტრაციო ოქმის ფორმა, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) ოქმის ფორმა, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) ოქმის ფორმა, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის და საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის ფორმები. ისაუბრა წარმოდგენილი ფორმების შესახებ, მათი შევსების წესებსა და პირობებზე. ასევე აღნიშნა, რომ უბნის მიერ შედგენილ შემაჯამებელ ოქმში ყოველგვარი შესწორება

საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად იწვევს ჯარიმას. აღნიშნული სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით, უსკო-ს მიერ სხვა ფორმებთან ერთად, დამტკიცებული იქნა შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი, როგორც პროპორციულ, ასევე მაჟორიტარულ ოქმებზე. კერძოდ, უბნის მიერ შემაჯამებელ ოქმში დაშვებული შეცდომისას მათ უნდა შეადგინონ შესწორების ოქმი, სადაც დააფიქსირებენ იმ მონაცემებს, რაც მათ მიერ არასწორედ იქნა შედგენილი. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა დავით რობაქიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 12;
წინააღმდეგი 1;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) სადემონსტრაციო ოქმი (ფორმა 1-07.30.01);
ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) სადემონსტრაციო ოქმი (ფორმა 1-07.31.01);
გ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (მაჟორიტარული) ოქმი (ფორმა 1-07.32.01);
დ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი (პროპორციული) ოქმი (ფორმა 1-07.33.01);
ე) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების პროპორციული შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი (ფორმა 1-07.34.01);
ვ) საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების მაჟორიტარული შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმი (ფორმა 1-07.35.01).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა ქეთევან ჯიქიამ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან კომისიის წევრებს წარუდგინა საკონტროლო ფურცელის ფორმა და საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა. მომხსენებელმა ისაუბრა აღნიშნული ფორმების გამოყენების წესებსა და პირობებზე და აღნიშნა, რომ სარეგისტრაციო ჟურნალი არის სიახლე იმ თვალსაზრისით, რომ დღემდე ჩატარებული არჩევნებისას უბანს გადაეცემოდა სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც არ იყო ჩაწერილი ის საჭირო რეკვიზიტები, რაც სავალდებულოა შემოსულ და გასულ ჟურნალში წერილის/განცხადების რეგისტრაციისას. მოცემულ შემთხვევაში ეს რეკვიზიტები, კერძოდ განცხადება/საჩივრის შემოსვლის თარიღი, ნომერი, დრო და. ა.შ. გათვალისწინებული იქნა და უბნისათვის გადასაცემ სარეგისტრაციო ჟურნალში ასახულია ყველა საჭირო რეკვიზიტი, რაც სავალდებულოა შემოსულ და გასულ წერილების/განცხადებების რეგისტრაციისას. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) საკონტროლო ფურცელი (ფორმა 5-07.36.01);
ბ) საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. დადგენილება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა თამაზ შარმანაშვილმა კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით მიზანშეწონილია უსკო-ს მიერ დამტკიცებული იქნას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია, სადაც ასახულია ყველა ის საკითხი, რაც ესაჭიროება უბნის თავმჯდომარეს, მოადგილეს, მდივანს და კომისიის წევრებს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის. მან აღნიშნა, რომ ცესკოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით აღნიშნული სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა უსკო-ში, სადაც უსკო-ს კომისიის წევრებთან ერთად განხილული და მოწონებული იქნა აღნიშნული სახელმძღვანელო. ასევე აღნიშნა, რომ მოცემული სახელმძღვანელოთი მოწესრიგებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა კომისიის უფლებამოსილება, სხდომების გამართვის პროცედურები, სარეგისტრაციო ჟურნალში შემოსული და გასული წერილების რეგისტრაციის საკითხი, ამომრჩეველთა რეგისტრაცია, საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები, შემაჯამებელი ოქმის შედგენა და ა.შ. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქცია დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა ქეთევან ჯიქიამ კომისიის წევრებს წარუდგინა დამკვირვებლის მოწმობის ფორმები საოლქო საარჩევნო და საუბნო საარჩევნო კომისიებში და განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გია გარსევანიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სიტყვა „სახელწოდება“ იყოს სიტყვებთან „ადგილობრივი ორგანიზაციის“ გასწვრივ და არა მათ ქვემოთ ანუ ჩაწერილი იყოს ერთ ხაზზე.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის შენიშნვის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) დამკვირვებლის მოწმობა საოლქო საარჩევნო კომისიაში (ფორმა 6-07.39.01);
ბ) დამკვირვებლის მოწმობა საუბნო საარჩევნო კომისიაში (ფორმა 6-07.40.01).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია